(2002)

გაეროს უშიშროების საბჭოს **<u>რეზოლუცია</u>** **<u>1393 (2002)</u>**

2002 წლის 31 იანვარი

უშიშროების საბჭო,

მიუთითებს რა ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ 2001 წლის 31 ივლისის რეზოლუციას 1364 (2001), განიხილა რა 2002 წლის 18 იანვრის გენერალური მდივნის მოხსენება (S/2002/88), მიუთითებს რა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) უმაღლესი დონის ლისაბონის (S/1997/57, დანართი) და სტამბოლის შეხვედრების დასკვნებს, რომელნიც ეხება ვითარებას აფხაზეთში, საქართველო, იმოწმებს რა 1994 წლის 9 დეკემბერს მიღებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალის და მასთან დაკავშირებული პერსონალის უსაფრთხოების კონვენციაში არსებულ შესაბამის პრინციპებს, შეახსენებს რა თავის დაგმობას 2001 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის ვერტფრენის განადგურების გამო, რის შედეგადაც დაიღუპა ბორტზე მყოფი ცხრა ადამიანი და გამოხატავს რა წუხილს იმის გამო, რომ ისინი, ვინც ჩაიდინა ეს თავდასხმა, ჯერ კიდევ გამოვლენილნი არ არიან, ხაზს უსვამს რა, რომ აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების საკვანძო საკითხებზე კვლავ პროგრესის არარსებობა მიუღებელია, მიესალმება იმ მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც შეიტანეს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიამ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიური სამშვიდობო ძალებმა (დსთ სამშვიდობო ძალებმა) კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში და ხაზს უსვამს რა მათ ერთგულებას მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობისადმი მათი შესაბამისი მანდატების აღსრულებაში,

1. მიესალმება რა 2002 წლის 18 იანვრის გენერალური მდივნის მოხსენებას;

2. მაღალ შეფასებას აძლევს და მტკიცედ მხარს უჭერს უწყვეტ ძალისხმევას, რომელსაც ახორციელებს გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენელი ხელშემწყობი მხარის სახით რუსეთის ფედერაციის, აგრეთვე გენერალური მდივნის მეგობრების ჯგუფისა და ეუთოს მეშვეობით სიტუაციის შემდგომი სტაბილიზაციის და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით, რომელიც უნდა შეიცავდეს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე საკითხის მოგვარებას;

3. მიესალმება და ხელს უწყობს მეგობართა ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობითა და სრული მხარდაჭერით დოკუმენტის "თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები" მომზადებაზე მუშაობის დასრულებას და მის თანმხლებ წერილზე და მხარს უჭერს ამ დოკუმენტების საფუძველზე სპეციალური წარმომადგენლის მიერ გაწეულ ძალისხმევას, რომელნიც წარმოადგენენ პოზიტიურ ელემენტებს მხარეთა შორის მშვიდობიანი პროცესის მოგვარებაში.

4. შეახსენებს იმას, რომ ამ დოკუმენტების მიზანს შეადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით სუბსტანტური მოლაპარაკებების ჩატარება მხარეებს შორის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის თაობაზე და არა იმაში, რომ ეცადოს თავს მოახვიოს ან უკარნახოს მხარეებს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება;

5. შეახსენებს შემდგომ იმის თაობაზე, რომ მოლაპარაკებების პროცესი, რომელსაც მიჰყავს ორივე მხარისათვის მისაღებ მტკიცე პოლიტიკურ მოწესრიგებამდე, ორივე მხარისაგან გარკვეულ დათმობებს მოითხოვს;

6. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს, კერძოდ აფხაზურ მხარეს, მიიღოს ეს დოკუმენტი და მისი თანმხლები წერილი უახლოეს მომავალში, ჩაატარონ მათი სრული და ღია განხილვა და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგნენ კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს მათი არსის შესახებ და მოუწოდებს სხვებს, ვისაც გააჩნია გავლენა მხარეებზე, ხელი შეუწყონ ამგვარ შედეგს;

7. მოუწოდებს მხარეებს გაწიონ ყველა შესაძლო ძალისხმევა მათ შორის შენარჩუნებული ურთიერთუნდობლობის დასაძლევად;

8. გმობს ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების თაობაზე 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების დარღვევებს (S/1994/583, დანართი I) და მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ შეწყვეტას;

9. მიესალმება და მტკიცედ მხარს უჭერს, ამასთან დაკავშირებით, ორი მხარის მიერ 2002 წლის 17 იანვარს ხელმოწერილ ოქმს, რომელიც ეხება ვითარებას კოდორის ხეობაში, მოუწოდებს მისი სრული და სწრაფი აღსრულებისაკენ, განსაკუთრებით ქართული მხარის მიერ, მაგრამ აგრეთვე საგანგებოდ დაბეჯითებით მოუწოდებს აფხაზურ მხარეს, შეასრულოს თავისი ვალდებულება არ გამოიყენოს თავის ინტერესებში ქართული ჯარების გაყვანა, ცნობს ამ რაიონში სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების თაობაზე არსებულ კანონიერ შიშს, მოუწოდებს თბილისსა და სოხუმში პოლიტიკურ ხელმძღვანელებს დაიცვან შეთანხმება უსაფრთხოების საკითხებზე და მოუწოდებს მათ შემდგომში ღიად განაცხადონ თავიანთი უარი საომარ რიტორიკაზე და სამხედრო ვარიანტების და უკანონო შეიარაღებული ჯგუფების საქმიანობის მხარდამჭერ გამოსვლებზე;

10. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს უზრუნველყონ მშვიდობიანი პროცესის აუცილებელი გამოცოცხლება მის ყველა ძირითად ასპექტში, განაახლონ თავისი მუშაობა საკოორდინაციო საბჭოში და მის შესაბამის მექანიზმებში, განამტკიცონ შედეგები, მიღწეული 2001 წლის მარტში ნდობის განმტკიცების ზომების თაობაზე იალტაში ჩატარებულ შეხვედრაზე (S/2001/242), და მიზანმიმართულად და თანამშრომლობის საფუძველზე განახორციელონ მაშინ შეთანხმებული წინადადებანი;

11. გამოხატავს თავის ღრმა შეშფოთებას ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკითხის გადაწყვეტაში პროგრესის არ არსებობის გამო, კვლავ ადასტურებს კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების დაუშვებლობას, კვლავ ადასტურებს აგრეთვე ყველა იმ ლტოლვილის და იძულებით ადგილნაცვალი პირის, რომელსაც შეეხო კონფლიქტი, განუყოფელ უფლებას დაუბრუნდეს თავის მშობლიურ ადგილებს უსაფრთხოებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში საერთაშორისო სამართლის და 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების (S/1994/397, დანართი I I) დებულებების შესაბამისად, შეახსენებს, რომ აფხაზურ მხარეს ეკისრება საგანგებო პასუხისმგებლობა დაბრუნებულთა დაცვასა და დარჩენილი გადაადგილებული მოსახლეობის დაბრუნებისათვის ხელშეწყობაზე და მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს და ჰუმანიტარული საქმიანობის კოორდინაციის სამმართველოს მიერ მიღებულ ზომებს მიმართულს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი პროფესიული მომზადებისა და მათი თვითუზრუნველყოფის ამაღლებისაკენ, თავის მშობლიურ ადგილებში მათი უსაფრთხოებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში დაბრუნების განუყოფელი უფლების სრული დაცვით;

12. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს განახორციელონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული გალის რაიონში შეფასების ერთობლივი მისიის რეკომენდაციები, მოუწოდებს, კერძოდ, აფხაზურ მხარეს გააუმჯობესოს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა ადგილობრივი მოსახლეობის მოზიდვითდა იმუშაონ პრობლემის გადაწყვეტაზე, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ეთნიკურად ქართული მოსახლეობა მოკლებულია მშობლიურ ენაზე სწავლების საშუალებას;

13. მიესალმება მხარეების ხელშეწყობით ინიციირებულ აღდგენის პროგრამებს, ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ორივე მხარეს ადგილნაცვალ პირთა და დაბრუნებულთა ინტერესებისათვის;

14. მოუწოდებს მხარეებს მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა 2001 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის ვერტფრენის განადგურებაზე პასუხისმგებელი პირების დასადგენად და მათი პასუხისგებაში მისაცემად, გამოხატავს აგრეთვე თავის შეშფოთებას მხარეთა საგანგაშო ტენდენციის გამო შეზღუდონ საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის გადაადგილების თავისუფლება, აბრკოლებს რა ამით მისიის მიერ თავისი მანდატის აღსრულებას, მათ შორის ეფექტური პატრულირების გზით და ხაზს უსვამს, რომ ორივე მხარეს ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა უსაფრთხოების საჭირო ზომების მიღებასა და საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიისათვის,

დსთ სამშვიდობო ძალებისა და სხვა საერთაშორისო პერსონალისათვის გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფისათვის;

15. შეახსენებს ქართულ მხარეს, კერძოდ იმას, რომ მან უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება ბოლო მოუღოს უკანონო შეიარაღებული ჯგუფების საქმიანობას, რომელნიც ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ქართული კონტროლის ქვეშ მყოფი მხარიდან აღწევენ აფხაზეთში, საქართველო.

16. მიესალმება იმ გარემოებას, რომ საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამ-კვირვებელთა მისიის მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფება მისიის უსაფრთხოების ორგანიზების სა-კითხი, იმით, რომ უზრუნველყოს მისი პერსონალის უსაფრთხოების რაც შეიძლება მაღალი ხარისხი.

17. ადგენს გაგრძელოს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის მანდატი შემდეგი პერიოდისათვის, რომელიც დასრულედება 2002 წლის 31 ივლისს და კვლავ განიხილავს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის მანდატს, თუკი 2002 წლის 15 თებერვლამდე არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება დსთ სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ 2002 წლის 31 იანვარს ქართული ხელისუფლება დათანხმდა დსთ სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელებას 2002 წლის ივლისის ბოლომდე;

18. სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს საბჭოს რეგულარული ინფორმირება და ამ რეზო-ლუციის მიღების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ წარმოადგინოს მოხსენება ვითარების შესახებ აფხაზეთში, საქართველო;

19. ადგენს გაგრძელდეს ამ საკითხზე აქტიური მუშაობა.

(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)